



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 52
21/08/2017

52-06-4-201708211700


განკარგულება N52

2017 წელი 21 აგვისტო

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების
სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული წყალსადენის სათაო ნაგებობის (ს.კ.№ 26.08.03.211 და ს.კ. N26.08.03.212) უსასყიდლო უზუფრუქტით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, იურიდიული პირის არსებობის ვადით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „სატისი“-სათვის გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალური დანიშნულების (ამწე-კალათი) ავტომანქანის „HYUNDAI E-MICHTY“ (საბალანსო ღირებულებით 82 500 ლარი) და 235 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერების (საბალანსო ღირებულებით 196 440,06 ლარი) თხოვების ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, იურიდიული პირის არსებობის

ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“-სთვის გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

